საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას

თამთა თოდაძის,

“მედიის განვითარების ფონდის” და

“საფარის”,

განცხადება

4 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ “ქართული ოცნების” საკრებულოს დეპუტატს ილია ჯიშკარიანს მისი თანაშემწე თამთა თოდაძე გაუპატიურების მცდელობასა და სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა[1]. საგამოძიებო უწყებამ თოდაძე დაზარალებულად სცნო და 8 ოქტომბერს ჯიშკარიანს ბრალი ოფიციალურად წარუდგინა.

თამთა თოდაძის მიერ საკრებულოს დეპუტატის დადანაშაულებას Facebook-ში სიძულვილის გვერდების და სახელისუფლებო მედიის მხრიდან თამთა თოდაძის დისკრედიტაციის ორგანიზებული კამპანია მოჰყვა, რასაც ფაქტების გადამოწმების პორტალის “მითების დეტექტორის” მიერ მომზადებული მასალაც ადასტურებს[2]. Facebook გვერდების გარდა ამ კამპანიაში ჩართული იყვნენ ტრადიციული ონლაინ მედია საშუალებები “კვირა +”, PIA და გაზეთი “ალია”. კერძოდ:

7 ოქტომბერს, ონლაინ პლატფორმაზე “კვირა +”-ზე გამოქვეყნდა სტატია, სათაურით “თამთა თოდაძის დედა წარსულში თაღლითობის ბრალდებით ნასამართლევია”[3]. იმავე დღეს “კვირა +”-ზე დაყრდნობით და იდენტური სათაურით მსგავსი ცნობა საინფორმაციო სააგენტო PIA[4] -მაც გამოაქვეყნა. ორივე ინფორმაცია ეყრდნობა ცნობას თამთა თოდაძის დედის ნასამართლეობის შესახებ, რომელსაც ოფიციალურად შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს და განმარტავს, რომ “პირის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია არაა საჯარო და მისი მოპოვება მხოლოდ აღნიშნული პირის წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი”.

აღსანიშნავია, რომ ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, ხოლო რედაქციის მიერ ხათუნა ოქროპირიძის შესაძლო ნასამართლეობის ფაქტის გაშუქება არღვევს ქარტიის მე-10 პრინციპს, აქვეყნებს პირის პირადი, ცხოვრებისა და პერსონალური ინფორმაციის დეტალებს უფრო მეტიც, მივიჩნევთ, რომ თამთა თოდაძის მიერ, თბილისის საკრებულოსა “ქართული ოცნების” წევრი დეპუტატის ილია ჯიშკარიანის სექსუალურ

---

[1] On.ge, 4 ოქტომბერი, 2019. “თბილისის საკრებულოს ოცნების დეპუტატს თანამშრომელი გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს”
https://on.ge/story/44190-ოცნების-დეპუტატის-ილია-ჯიშკარიანის-თანაშემწე-მას-გაუპატიურების-მცდელობაში-ადანაშაულებს

[2] მითების დეტექტორი, 10 ოქტომბერი, 2019. “სიძულვილის ჯგუფების და სახელისუფლებო ონლაინ მედიის ორგანიზებული კამპანია თამთა თოდაძის წინააღმდეგ”
http://mythdetector.ge/ka/myth/sidzulvilis-jgupebis-da-sakhelisuplebo-onlain-mediis-organizebuli-kampania-tamta-todadzis

[3] კვირა +, 7 ოქტომბერი, 2019. http://plus.kvira.ge/თამთა-თოდაძის-დედა-წარსუ/

[4] PIA, 7 ოქტომბერი, 2019. თამთა თოდაძის დედა წარსულში თაღლითობის ბრალდებით ნასამართლევია.
http://pia.ge/post/285573-tamta-todazis-deda-warsulsi-tarlitobis-braldebit-nasamartlevia&utm_source=pia&utm_medium=sidebar

ძალადობაში დადანაშაულების საქმის გაშუქებისას, შემდგომში დაზარალებულად ცნობილი თამთა თოდაძის დედის სავარაუდო ნასამართლეობაზე გავრცელებული ინფორმაცია არარელევანტურია და არა საზოგადოების ინფორმირებას, არამედ დაზარალებულის მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნას ემსახურება.

თამთა თოდაძის წინააღმდეგ კამპანიაში ჩართული იყო ასევე გაზეთი "ალია", რომლის ონლაინ გამოცემაშიც 7 ოქტომბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია, სათაურით ,,თამთა თოდაძე ნაცმოძრაობის ახალგაზრდულის საკმაოდ აქტიური წევრი იყო!" ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროს, ლადო სადღობელაშვილის ფეისუქ სტატუსს ეყრდნობა, რომელიც ამტკიცებს, თითქოს თამთა თოდაძის წარსულში პოლიტიკურ პარტია "ნაციონალურ მოძრაობის" წევრი იყო.

> **ლადო სადღობელაშვილი:** "როგორც ირკვევა ქბნი თამთა თოდაძე ("მსხვერპლი") წარსულში ნაცმოძრაობის ახალგაზრდულის საკმაოდ აქტიური წევრი იყო! ქბნი თამთა არაერთხელ ყოფილა "მიშას ბანაკებში" ეწ რეინჯერი, სადაც ამ ახალგაზრდა ქალბატონს დავალებული ჰქონდა ახალგაზრდების "მოწამლვა" და ნაცსექტაში შეტყუება!"

რედაქციას ეს ინფორმაცია თავად თამთა თოდაძესთან არ გადაუმოწმებია, რადგან ახალგაზრდულ ბანაკში ყოფნა აპრიორი პარტიის წევრობას არ ნიშნავს. მოცემულ კონტექსტში კი ლადო სადღობელაშვილის კომენტარის გავრცელება, რომ "პორტირებულმა" ნაციონალებმა დაღუპეს ქართული ოცნება, ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს თამთა თოდაძის ბრალდებები მმართველი პარტიის წარმომადგენლის მიმართ უსაფუძვლოა და ის პოლიტიკურად დაინტერესებულია განზრახ გაავრცელოს არასწორი ინფორმაცია:

> **ლადო სადღობელაშვილი:** "პორტირებულმა ნაცებმა დაღუპა "ოცნება"! უფრო სწორედ თქვენი ძვირფასო ქოცებო! იმის მაგივრად გულანთებული აქტივისტები დაასაქმოთ ბიუროებში ასაქმებთ პორტირებულ ნაცებს!"

მიგვაჩნია, რომ "ალიამ" დაარღვია ქარტიის პირველი (სიზუსტე) და მე-11 პრინციპი, რაც ფაქტის განზრახ დამახინჯებას ისახავდა მიზნად, ასევე მე-7 პრინციპი (დისკრიმინაცია) და მოახდინა თამთა თოდაძის დისკრიმინაცია.

მოგმართავთ, რათა ქარტიის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავლოთ "კვირა +" -ის და PIA-სა და "ალიას" მიერ აღნიშნული მუხლების დარღვევა.

თინა გოგოლაძე

tinagogoladze89@gmail.com

557266047

ნანა რაფავა

rapava.nana@gmail.com

577211227

მედიის განვითარების ფონდი

ქობულეთის ქუჩა 34/36,

სადარბაზო 1, სართული 4, ბინა 5

0179, თბილისი, საქართველო.

ბაია პაგარაია

pataraiab@gmail.com

577111817

“საფარი”

გახოკიძის 11/ა, 0160, თბილისი

თამთა თოდაძე

Tamta.todadze@yahoo.com